მეზოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 214 (13906) | სამშაბათი, 12 სექტემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

50 — საიუბილეო ვახტაზე

ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲗ: ᲪᲝᲓᲜᲐ ᲧᲐᲚᲮᲡ!

ᲒᲐᲛᲪᲮᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ

Г. ᲯᲝᲯᲝᲜᲘᲫᲔ,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარე

სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნა“ და მისი ერთ-ერთი მოწინავე რაზმი, რომელიც საქართველოში მუშაობს, თავიანთ მეოცე წლისთავს აღნიშნავენ საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავის იუბილეს დღესასწაულისათვის მზადების ატმოსფეროში.

დიდი ოქტომბრის დროშით ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხმა, დიდ წარმატებებს მიაღწია კომუნისტური მშენებლობის გზაზე.

წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყანა გადაიქცა არა მარტო ეკონომიურად მძლავრ სახელმწიფოდ, არამედ გახდა მოწინავე კულტურის ქვეყანაც მეცნიერებისა და განათლების განსაკუთრებით მაღალი დონით.

ამასთან ერთად ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ იმ ღონისძიებებთან ერთად, რომლებსაც მთავრობა ახორციელებს მშრომელთა კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლების მიზნით, საჭირო იყო შეგვექმნა მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობდა ცოდნისადმი ხალხის მზარდი მოსწრაფების დაკმაყოფილებას. გამოდიოდა რა აქედან, საბჭოთა ინტელიგენციის გამორჩენილ მოღვაწეთა ჯგუფმა გადაწყვიტა შეექმნა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნა“. 67 ინიციატორს შორის იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი. სრულიად საკავშირო საზოგადოება ოფიციალურად ჩამოყალიბდა თავის პირველ საორგანიზაციო კრებაზე 1947 წლის 7 ივლისს.

განვლილ პერიოდში სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნა“ გადაიქცა ერთ-ერთ მსხვილ მასობრივ ორგანიზაციად, რომელშიც ამჟამად 1 მილიონ 825 ათასი წევრი ითვლება. საზოგადოების წევრები ყოველწლიურად კითხულობენ 16 მილიონ ლექციას. ამასთან ერთად ეწევიან ფართო ბეჭდვითს პროპაგანდას. საზოგადოება გახდა პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგიური ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად ეხმარება მან კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის ფორმირებაში.

ამ დიდ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს საზოგადოება „ცოდნა“, რომელიც დღეს აღნიშნავს თავისი არსებობის მეოცე წლისთავს.

ქართველ ინტელიგენციას დიდი ტრადიციები აქვს მშრომელთა შორის ცოდნის გავრცელების საქმეში. გავიხსენოთ თუნდაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაარსდა დიმიტრი უიფიანის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძისა და სხვების ინიციატივით.

საბჭოთა საქართველოს საზოგადოებრიობა მხურვალედ მეესალმა რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ შექმნას, რომელიც განვლილ 20 წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა და ფართო, მრავალმხრივ პროპაგანდას ეწევა. 1949 წლის იანვარში საზოგადოების რიგებში ითვლებოდა 1.100 წევრი, რომლებმაც 1948 წელს წაიკითხეს 1.900 ლექცია. დღეს საზოგადოებაში 24.200 წევრია, რომლებიც ყოველწლიურად კითხულობენ 250 ათასზე მეტ ლექციას. განვლილ პერიოდში მნიშვნელოვნად გადიდდა მმენელთა რიცხვიც. გაფართოვდა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების ქსელი. ამჟამად მათი რიცხვი რესპუბლიკაში 2.218-ს შეადგენს.

1964 წელს შედგა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ IV ყრილობა, რომელმაც დასახა ახალი ეტაპი მის მუშაობაში, დასაწყისი მისცა ძირეულ ცვლილებებს ცოდნის პროპაგანდის ფორმასა და შინაარსში.

საქართველოს რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ მუშაობაში დიდი წვლილი შეაქვთ მეცნიერებს, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკებს, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა და შემოქმედებითი კავშირების კოლექტივებს. საზოგადოების წევრი 1.500-მდე ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი ეკონომისტებთან და წარმოების მოწინავე მუშაკებთან ერთად ეწევა მეცნიერული ცოდნის პროპაგანდას მუშებში.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

11 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მაჰმუდ რიადი.

ა. ნ. კოსიგინსა და მ. რიადს შორის გაიმართა საუბარი ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის საკითხებზე, აგრეთვე სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის საინტერესო სხვა საკითხებზე. საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲬᲕᲘᲕᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲡ

11 სექტემბერს საქართველოს მხატვართა ნაწარმოებების გამოფენას, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს, ეწვივნენ **ვ. პ. მჟავანაძე, მ. ი. კუჭავა, ო. ი. ლოლაშვილი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ხ. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე.**

რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა მოიწონეს ექსპოზიცია და სიამოვნებით აღნიშნეს ის ფაქტი, რომ გამოფენაზე წარმოდგენილია ყველა თაობის მხატვართა ნამუშევრები. მათი უფრადღება განსაკუთრებით მიიპყრო უხუცესი ქართველი მხატვრის **გ. მესხის** „აკადემიკოს ბერიტაშვილის პორტრეტმა“, სსრ კავშირის სახალხო მხატვრის **უ. ჯაფარიძის** სურათებმა „ჩემი სამშობლო“ და „აკადემიკოს აკაფსირიშვილის პორტრეტი“, ახალგაზრდა მხატვრების **კ. მახარაძის** — „საქართველოს მიწამ“, **რ. კეჭაღმაძის.** — „ჭაშიკმა“, **მ. ხვიტიას** ბეიხაკეგმა და სხვა სურათებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მჟავანაძემ** გამოფენის დათვალიერების შემდეგ აღნიშნა სახვითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების მრავალფეროვნება. გამოფენა კარგია იმით, — თქვა მან, — რომ ფართოდ ასახავს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის ჩვენი ხალხის ბრძოლისა და გამარჯვებების სახელოვან ორმოცდაათი წლის გზას.

ვ. პ. მჟავანაძემ მიიღოცა მხატვრებს საიუბილეო გამოფენის გახსნა და უსურვა შემდგომი შემოქმედებითი წარმატებანი. (საქდესი).

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-175“

1967 წლის 11 სექტემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს მორიგი ხელოვნური თანამზეავრი „კოსმოსი-175“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: — მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 92,2 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 386 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 210 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 72,9 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,995 მეგაჰერცი სიხშირით; რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲗᲐ ᲜᲝᲑᲐᲗᲘ

ჩაის ფოთლის კრეფა მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.
ფოტო ბ. დადვაძისა და ი. დავითაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲘᲙᲠᲘᲤᲔᲑᲐ 2.000 ᲢᲝᲜᲐ

მახარაძის რაიონის მშრომელები, — განაცხადა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა **ალ. თოიძემ,** — მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საყვარელი სამშობლოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს სასახელო შეხვედრას უმზადებენ. პირველი სახელოვანი გამარჯვება მოიპოვეს რაიონის მეჩაიეებმა.

ჩვენს მეჩაიეებს 15 სექტემბრისათვის გეგმით უნდა მოეკრიფათ 38.120 ტონა ჩაის ფოთოლი. პლანტაციების კარგი მოვლით, ფოთლის ყოველგვარ ამინდში განუწყვეტელი კრეფის შედეგად 10 სექტემბრისათვის მოიკრიფა და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 38.230 ტონა ხარისხოვანი ნედლეული.

საუბილეო ვახტზე მოპოვებულ პირველ დიდ გამარჯვებაში საპატიო წვლილი შეიტანეს ნატანების კოლმეურნეობის მეჩაიეებმა. ნატანების კოლმეურნეობას (თავმჯდომარე **გ. წითლიძე**) თავისი არსებობის მანძილზე მიმდინარე წლის გაზაფხულამდე 47 ძილიონი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრეფილი. მათი ვალდებულება იყო 3 მილიონი კილოგრამი ფოთოლი მიემატებინათ ამ ციფრთან. **ბალეკედურის, მზიანის, ვაკიჯვრის, ძიმითის, ბახვის ნაგომრის, მზისპირის, მაკვანეთიხა** და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა. მელეკედურის კოლმეურნეობას ვალდებულებით უნდა მოეკრიფა 1.189 ტონა ფოთოლი, ფაქტიურად უკვე მოკრიფა 1.300 ტონა, ძიმითელებმა მოკრიფეს 1.481 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად 1.458 ტონისა.

ვინ არ იცნობს მახარაძელ სოციალისტურ შრომის მგრძნებს **დარეჯან ტაკიძეს, ოლოა გოგოტიშვილს, ლუდი ხურციძეს, ნინო მიმინოშვილს, კლავდია ნაცვალაძეს,** და სხვებს, რომელთა მარჯვენით ყოველწლიურად ტონობით ჩაის ფოთოლი იკრიფება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ მიღწეული მექანიზატორებისა, რომლებიც აძლევენ დიდ დახმარებას უწყვეტ ფოთლის კრეფაში. ამ მხრივ შესანიშნავ წარმატებას აღწევენ ლაითურის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები **ვ. სანაძე** და სხვები. ისინი ხშირად მანქანა „საქართველოთი“ თვითეული 50-60 კაცის შრომას ცვლის.

რაიონში პირველი წარმატებები გახაპირობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებამ. პირველადი პარტიული ორგანიზაციები სათავეში ედგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, კომუნისტები იყვნენ მაგალითის მაჩვენებელნი.

მახარაძელმა მეჩაიეებმა შეასრულეს ფოთლის კრეფის გეგმა და აკლავ განაგრძობენ ლაშქრობას ვალდებულების გასანაღებლად. **მათ გადაბედეს თავიანთ შესაძლებლობებს და გადაწყვიტეს სეზონში წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარონ, სულ მცირე 2.000 ტონა ჩაის ფოთოლი.**

ᲝᲥᲠᲝ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲕᲚᲐᲜᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ

ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ 2.000 ᲢᲝᲜᲐ ᲤᲝᲤᲝᲚᲘ

აჭარის მეჩაიეებმა დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. — მათ 10 სექტემბრისათვის წარმატებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა. **გეგმით გათვალისწინებულ 32.560 ტონის ნაცვლად მოკრეფილია 32.583 ტონა ფოთოლი.**

„კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა

საუბარი საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან

Ა. ᲗᲝᲜᲘᲫᲔᲚᲗᲐᲜ

მდივანმა **ა. თხილაიშვილმა** განაცხადა:

აჭარის ასსრ ლენინის ორდენით დაჯილდოებამ ჩვენს მშრომელებში ახალი პატრიოტული და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ახლა საწარმოებიდან, პლანტაციებიდან, ფერმებიდან, მინდვრებიდან ყოველდღიურად მოდის სასიხარულო ცნობები.

ამის ერთ-ერთი შესანიშნავი დადასტურებაა აჭარის მეჩაიეთა შრომითი წარმატება. პირველი ამინდის მიუხედავად მათ ვადამდე შეასრულეს სახელმწიფო გეგმა. **დღეისათვის საშუალოდ ჰექტარზე მოკრეფილია 5.025 კილოგრამზე მეტი ფოთოლი.**

ბათუმის რაიონის მეჩაიეებმა ჯერ კიდევ 2 სექტემბერს უპატიჟეს სამშობლოს სახელმწიფო გეგმის შესრულება. განსაკუთრებით ისახელეს თავი **ახალშენის, სარფის, ხელვაჩაურის, ტელმანის** სახელობის, **წინსვლის, მეჯინისწყლის,** კოლმეურნეობებმა, **მახინჯაურის** საბჭოთა მეურნეობამ და სხვებმა.

წარმატებები მოიპოვეს **ქობულეთის** რაიონის მშრომელებმა. აქ საშუალოდ ჰექტარზე 5.372 კილოგრამი ფოთოლი მიიღეს. ვადამდე უხვი მოსავლის მოყვანით გაგვახარეს **ბობოყვათის, ჩაისუბნის, გვარას, აჭყვისთავის, წყავროკის, აჭის, ზენითის, ქაქუთის, ფიქვნარის, ახალსოფლის** კოლმეურნეობებმა, **ჩაქვის ჩაის, ცეცხლაურის, ჯიხანჯურისა** და **მუხაესტატეს** საბჭოთა მეურნეობებმა.

საოქაოდო მაჩვენებლებს მიაღწიეს ცალკეულმა ბრიგადებმა და მეჩაიეებმა. მკლავმოუღლელად შრომობენ და დიდ გამარჯვებასაც აღწევენ ცნობილი ვეტერანი მეჩაიეები, სოციალისტური შრომის გმირები: **ასმათ ჯიჯავაძე, ტატიანა ცინცაძე, დარეჯან ქათამაძე, ემინე ზაქარიაძე,** ახალგაზრდა მეჩაიე **ქეთო გოგიტიძე** და სხვები.

საერთო წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მექანიზატორებმა. აჭარის ჩაის პლანტაციებში ათობით ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ გუგუნებს.

შეუფერხებლად მუშაობდნენ ჩაის ფაბრიკები. საწარმოო ტექნოლოგიის დაცვით წარმატებით ასწრებდნენ მიღებული ნედლეულის გადამუშავებას.

აჭარის მეჩაიეებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს მეჩაიეთა საერთო ლაშქრობაში. მაგრამ გეგმის შესრულებას როდი ეკერდებიან. ახლა ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების, ყველა მშრომელთა ღირსების საქმეა ახალი საჩუქარი მოკუმზადოთ დიად ოქტომბერს — **სეზონის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მოკრიფოთ 2.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.**

აჭარის მშრომელები წარმატებით გადაწყვეტენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

210.000 ტონა ჩაის ფოთოლი

მოგილოცავთ, მეგობრებო!

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ ოცი წლისთავთან დაკავშირებით, მშრომელთა ფართო მასებში მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის პროპაგანდის აქტიურ მონაწილეობს მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის —

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწისა

1. **ბაბაკაძეს** ვალერიან საბას-ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.
2. **თავაძეს** ილია ყაისარის-ძეს — შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორს, პროფესორს.
3. **კეკელიძეს** პროკელი ლევარსის-ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.
4. **ლანდიას** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორს.
5. **მეხნიას** შოთა ამბაკოს-ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.
6. **მეძველიას** კონსტანტინე ნესტორის-ძეს — ქუთაისის ა. წულუკიძის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს, პროფესორს.
7. **მინდაძეს** ალექსი ალექსის-ძეს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.
8. **ობოლაძეს** უშანგი პლატონის-ძეს — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს, პროფესორს.
9. **სუბგულაძეს** აკაკი ნესტორის-ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.
10. **შუბლაძეს** ნიკოლოზ იოსების-ძეს — აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ ნევროპათოლოგს.
11. **ციციშვილს** ირაკლი ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.
12. **ხიგუას** სერგო ნოეს-ძეს — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის —

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლისა:

1. **ახვლედიანს** ბეგლარ ალექსანდრეს-ძეს — ახალციხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტს.
2. **ალავიძეს** გრიგოლ სიმონის-ძეს — გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტს.
3. **ბარათაშვილს** შალვა პარმენის-ძეს — ქ. ჭიათურის სოფელ ზოდის საშუალო სკოლის მასწავლებელს.
4. **ბაბაევს** გიორგი ქრისტეფორეს-ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორს.
5. **ბიბილაშვილს** ვიქტორ ბესარიონის-ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ლექტორიუმის დირექტორს.
6. **ბუაჩიძეს** ვლადიმერ მოსეს-ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის რეფერენტს.
7. **გოგობერიშვილს** გიორგი სერგოს-ძეს — ამბროლაურის რაიონის კინოფიცალის დირექტორს.
8. **დობორჯგინიძეს** ბენიამინ ილარიონის-ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, დოცენტს.
9. **ერემიაშვილს** ლონგინოზ გლახუნის-ძეს — ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კაბინეტის გამგეს.
10. **ზედგინიძეს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის რეფერენტს.
11. **თოფურიას** ივლიანე სერგაპონის-ძეს — აბაშის რაიონული გაზეთის „განახლებული აბაშის“ განყოფილების გამგეს.
12. **ივარდავას** ვალერიან ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარეს.
13. **კეკლაშვილს** სოფიო ილიას ასულს — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის რეფერენტს.
14. **კიკაბიძეს** ალექსანდრე ვარლამის-ძეს — საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს.
15. **კობახიძეს** სერგო ერმალოს-ძეს — საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის VIII პლენუმის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი ი. ორაბაველიძე, გამგეობის რეფერენტი გ. ხელაძე, საზოგადოება „ცოდნის“ ქუთაისის განყოფილების გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ს. ფხაკაძე, ახალციხის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე ს. მიქუტიშვილი. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი ბ. ჯაფარიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგე, პროფესორი ს. კოგბალაძე, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ბ. ლლონტი და მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე პროფესორი ი. მელქაძე.
ფოტო გ. გოგოხიასი.

ᲓᲦᲔᲡ, 12 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲛᲝᲬᲕᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲪᲝᲓᲜᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ VIII ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲒᲘ: „საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ 20 წლისთავი“. მომხსენებელი — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარე, აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე.

პლენუმი გაიხსნება რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 17), დღის 12 საათზე.

დევიზით: ცოდნა ხალხს!

(დასასრული)

2.000 აგრონომმა, ზოოტექნიკოსი, მექანიზატორი დიდ ხაგანმანათლებლო მუშაობას ეწევა სოფლის მეურნეობის მშრომელთა შორის. 1.900-მდე ექიმი ხელს უწყობს მოსახლეობის სანიტარული კულტურისა და ჰიგიენის ამაღლებას.

საზოგადოება „ცოდნის“ მოღვაწეობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ აგრეთვე კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, ეკონომისტები, იურისტები, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციების მუშაკები, პარტიული მუშაკები.

ღრმა მადლობის გრძნობას იწვევს უდიდესი მუშაობა, რაც გასწია აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა, რომელიც მთელი რიგი წლების მანძილზე იყო ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარე; სრულიად საკავშირო საზოგადოების გამგეობამ მისი ხელი „საპატიო წიგნში“ შეიტანა. უაღრესად დიდი პატივისცემის ღირსია „ცოდნის“ გავრცელებაში ისეთ გამოჩენილ მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა მონაწილეობა, როგორიც არიან ი. ბერიტაშვილი, რ. აგლაძე, ი. ვეკუა, ნ. კეცხოველი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ა. ჩიქობავა, ა. ჯანელიძე, ვ. გულისაშვილი, გ. წულუკიძე, ა. ხარაძე, ი. აბაშიძე, გ. ჯიბლაძე, კ. ერისთავი და სხვები. ცოდნის გავრცელებაში თავის დროზე დიდი წვლილი შეიტანეს მეცნიერების ცნობილმა მოღვაწეებმა ს. ჯანაშიამ, კ. კეკელიძემ, დ. უზნაძემ, ნ. ბერძენიშვილმა, ნ. ყიფშიძემ, ი. ქუთათელაძემ, ა. ნათიშვილმა, გ. ქიკოძემ.

ცოდნის პროპაგანდის მაღალი იდეური და მეცნიერული დონე საზოგადოების ყველა ორგანიზაციის უპირველესი მცნებაა. საზოგადოების მოღვაწეობის დიაპაზონი ისე დიდია, პროპაგანდის ფორმები იმდენად მრავალფეროვანია, რომ ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს უნარს — სწორად შეეგებომთ, უფრო სრულად გამოვიყენოთ ისინი. ლექციებთან ერთად რესპუბლიკაში ფართო გავრცელება ჰპოვა ლექციათა ციკლებმა, თემატურმა საღამოებმა, თეორიულმა და სამეცნიერო-საწარმოო კონფერენციებმა, საუბრებმა. ზეპირმა ჟურნალებმა, დისპუტებმა და ა. შ. 1966 წელს განხორციელებულ იქნა ექვსი ათასამდე ასეთი ღონისძიება.

მომდინარე წელს საზოგადოების მთელ საქმიანობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი თემატიკა განსაზღვრავს. განსაკუთრებით ფართო შესაძლებლობანი გადაეშალა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“. საიუბილეო წელს პროპაგანდა მიზნად ისახავს ფართოდ ვაჩვენოთ მშრომელებს საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი დიდი და რთული გზა, დავანახვოთ, რომ ჩვენი თანამედროვენი წინამორბედ თაობათა სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების მემკვიდრენი გახდნენ.

დიდი ოქტომბრის იუბილესადმი მიძღვნილ თემატიკაში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვეს ლექციათა ციკლებმა და შეხვედრებმა. ეწყობოდა საოქტომბრო და ლენინური კითხვა, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, აგრეთვე საქალაქო და რაიონული პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკები, გამოჩენილი მეცნიერები, ძველი ბოლშევიკები, ოქტომბრის რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილენი, ლენინური გვარდიის ჯარისკაცები.

საზოგადოების მუშაობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მხარეა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ფართო პროპაგანდა. მშრომელთა აღზრდა ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით წარმოებს ხალხთა მეგობრობის ნიშნით. ამ მოღვაწეობის მკაფიო გამოვლინება იყო თბილისში „მოკავშირე რესპუბლიკათა დღეების“, აგრეთვე მოსკოვში „საქართველოს დღეების“ ჩატარება.

ჩვენი პარტიის ისტორიისა და თეორიის საკითხები ყოველთვის იყო და კვლავ არის მთელი იდეოლოგიური მუშაობის ყურადღების ცენტრში. ამ საკითხებისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა უკანასკნელ პერიოდში, და დღევანდელი დღის მოთხოვნების შესაბამისად მის დაკმაყოფილებას ხელს უწყობს საზოგადოების წევრთა მრავალრიცხოვანი არმია, პირველ რიგში ისტორიული მეცნიერების მუშაკები. კარგად მუშაობს საზოგადოების გამგეობასთან არსებული ისტორიული ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო (თავმჯდომარე პროფესორი ა.ა. სურგულაძე). საბჭოს მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურდა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მზადების პერიოდში. მოახლოებულ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით მან დასახა და ახორციელებს საქმიანობის ფართო გეგმას. ამ გეგმის შესაბამისად მომზადებულ იქნა ლექციების სანიმუშო თემატიკა, გამოიცა 4 ბროშურა, აგრეთვე დამხმარე მასალა ლექტორებისათვის თემაზე: „საქართველო გუშინ, დღეს და ხვალ“, დაიბეჭდა მთელი რიგი სტატიები. ხორციელდება ღონისძიებანი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ ხორციელდება ახალი ეკონომიური რეფორმა. ახლა ახლებურად მუშაობას იწყებენ არა მარტო ცალკეული საწარმოები, არამედ სახალხო მეურნეობის ყველა დარგიც. ამიტომ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიური ცოდნის პროპაგანდას, იმ მიზნით, რომ „განვუმარტოთ მშრომელთ ამ უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკური ღონისძიების არსი, მივაწოდოთ მასში შეგნებულ მონაწილეობას. ამ მიზნის ისახავენ ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო (თავმჯდომარე პროფესორი პ. გუგუშვილი) და ხალქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების შესაბამისი სექციები.

დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან სხვა მეთოდური საბჭოებიც, რომლებსაც სათავეში უდგანან მეცნიერების სხვადასხვა დარგის ავტორიტეტიანი სპეციალისტები.

ფართო საზოგადოებრიობაში კარგი სახელი მოიპოვეს ახალხო უნივერსიტეტებმა. ჩვენს ქვეყანაში ეს უნივერსიტეტები ახლა 17 ათასზე მეტია, მათ შორის საქართველოში —188 უნივერსიტეტი, რომლებშიც სწავლობს 22 ათასამდე კაცი — მუშა-მოსამსახურეები, კოლმეურნეები, ინჟინერები, ტექნიკოსები.

წლითიწლობით ფართოვდება საზოგადოება „ცოდნის“ მიერ გამოცემული შრომების გავრცელება. უკანასკნელ ხანს ეს გავრცელება ხელმოწერით ხდება.

საზოგადოების გამგეობა ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს ლექტორების დახასმარებლად. იმართება რესპუბლიკური, ხალქო, საქალაქო და რაიონული თათბირ-სემინარები. ბევრი ლექტორი იგზავნება სრულიად საკავშირო და სარესპუბლიკათაშორისო თათბირ-სემინარებზე, მათ ეძლევათ სხვადასხვა მასალები.

საზოგადოება აქტიურ მონაწილეობას იღებს აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთკავშირის გაფართოების ღონისძიებებში, რომლებსაც სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნა“ ახორციელებს.

იმ მუშაობას, რაც რესპუბლიკაში საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით წარმოებს, ახორციელებენ ძირითადად ხალქო, საქალაქო, რაიონული და პირველადი ორგანიზაციები. საზოგადოების თბილისის საქალაქო ორგანიზაცია, რომელიც 1956 წელს შეიქმნა, სამართლიანად ითვლება მის მოწინავე რაზმად, თავის რიგებში აერთიანებს დედაქალაქის თითქმის ყველა გამოჩენილ მეცნიერსა და კულტურის მუშაკს, პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს.

შემოქმედებითად ავითარებენ რა ლექციურ პროპაგანდაში შეძენილ გამოცდილებას, თბილისის ორგანიზაციის გამგეობამ და პრეზიდიუმმა მთელმა აპარატმა მიიღწიეს ლექციებმა ხარისხის მკვეთრ ამაღლებას, მუშაობის ფორმების მრავალფეროვნებას. თბილისის ორგანიზაციის საქმიანობაში ყურადღებას იპყრობს ახლის გრძნობა, დროული გამოხმაურება ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების აქტუალურ მოვლენებზე, ცოდნის გავრცელების ქმედითი ფორმების ძიება.

საზოგადოების თბილისის რაიონულ და პირველად ორგანიზაციებს დიდ დახმარებას უწევენ პარტიის საქალაქო კომიტეტი და რაიონული კომიტეტები.

საზოგადოების თბილისის ორგანიზაციის მიღწევებში აღსანიშნავია ორგანიზაციის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარის აკადემიკოს რაფიელ დვალის, თავმჯდომარის აკადემიკოს ილია ვეკუას, მისი მოადგილეების აკადემიკოსების ვანან მამახასლისოვისა და ალექსანდრე ბარამიძის, გამოჩენილ მეცნიერთა ფართო აქტივის დამსახურება.

ნაყოფიერად მუშაობენ აფაზეთისა და აჭარის ხალქო, ქუთაისის, გორის, რუსთავის საქალაქო, სამტრედიის, ლენინგორის, მახარაძის, ზუგდიდისა და სხვა რაიონული ორგანიზაციები.

ჩვენი საზოგადოების წევრთა უანგარო და ნაყოფიერ შრომას მაღალი შეფასება მიეცა. 1967 წლის იანვარში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ წევრთა ჯგუფი, რომელთა შორის იყო ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ ცხრა მეცნიერი და აპარატის მუშაკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დღევანდელი ბრძანებულებით მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის, კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებანი მიენიჭა საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორთა დიდ ჯგუფს. მთელი რიგი ლექტორები დაჯილდოებული არიან რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. 20 წლის მანძილზე სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ საპატიო სიგელები გადაეცა 1.000-ზე მეტს კაცს. ბევრი ლექტორი დაჯილდოებულ იქნა საზღვარგარეთის ქვეყნებში ტურისტული საგზურებით, ბევრს გადაეცა ფასიანი საჩუქრები.

ჩვენს ქვეყანაში კარგი ტრადიციაა: საიუბილეო თარიღს რომ აღვნიშნავთ, მთავარი ყურადღება მივაპყროთ იმ ამოცანებს, რომლებიც გადასაწყვეტია. დღეისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ჩვენი ქვეყნის მომავალ ნაზეგარსაუნუნოვან იუბილესთან დაკავშირებული ლექციური პროპაგანდის გაძლიერება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გამოქვეყნებული თეზისების შესაბამისად. უნდა გავაფართოოთ სკკპ ისტორიისა და თეორიის პროპაგანდა, გავაჩაღოთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და კ. მარქსის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექციური პროპაგანდა.

ჩვენი ვალია დავეხმაროთ პარტიას აღზარდოს საბჭოთა ადამიანები კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, განვუმარტავდეთ მშრომელებს იმპერიალისტური პროპაგანდის სიცრუეს.

საზოგადოება „ცოდნამ“ უნდა გააძლიეროს მუშაობა ხაბუნებისმეტყველო, ტექნიკური და სახოფლო-სამეურნეო ცოდნის გასავცელებლად. მეცნიერების მიღწევები რაც შეიძლება მალე უნდა ხდებოდეს ხალხისათვის ცნობილი. კვლავ დიდმნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეჭიროს იურიდიული ცოდნის პროპაგანდას. გამოცდილება გვიკარნახებს, რომ მოსახლეობის ფართო მასების მიერ საბჭოთა კანონების ცოდნა ხელს უწყობს მთელ რიგ დანაშაულობათა შემცირებას და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას.

ყველა ამ ამოცანის შესრულებას საზოგადოება შეძლებს იმ შემთხვევაში, თუ განამტკიცებს პირველად ორგანიზაციებს, მუშაობაში ჩაებამს ინტელიგენციის ფართო ფენებს, დაუცხრომლად იზრუნებს ლექტორთა ცოდნისა და პროფესიული ოსტატობის ამაღლებისათვის.

საქართველოს საზოგადოება „ცოდნა“, რომელიც განვლილ 20 წელიწადში მძლავრ იდეოლოგიურ ორგანიზაციად გადაიქცა, უეჭველია, გაამრავლებს თავის წარმატებებს; მთელ თავის ძალებს, მთელ გამოცდილებას მოახმარს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, მაღლა ატარებს ცოდნის ჩირაღდანს, ხელს შეუწყობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას, კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში მისი წვლილის გამრავლებას.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა.

(დასასრული).

16. **მახარაძეს** შოთა ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელ მდივანს.

17. **მახათაძეს** მიხეილ კონსტანტინეს-ძეს — საქართველოს კომპარტიის ბაშურის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგეს.

18. **ნაბიზიდეს** მახმუდ მაგამედ ოღლის — საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს.

19. **ნიუარაძეს** ნადიმ იზეთის-ძეს — ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრის გამგეს, დოცენტს.

20. **ნოზაძეს** შოთა იოსების-ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“ გამგეობის რეფერენტს, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს.

21. **პოლიბრონოვს** ალექსი პორფილეს-ძეს — საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის ლექტორს.

22. **სახაროვს** სტეფანე ივანეს-ძეს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს.

23. **ხალარიძეს** სიმონ სიმონის-ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

24. **ფოფხაძეს** სერგო მიხეილის-ძეს — თიანეთის ადგილობრივი რადიოგადაცემის კორესპონდენტ-ორგანიზატორს.

25. **ქერდიაოშვილს** გიორგი ესტატეს-ძეს — საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგეს.

26. **ქობალიას** მიხეილ სტეფანეს-ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“ ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარეს.

27. **შალამბერიძეს** გიორგი შალვას-ძეს — საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს.

28. **ჩაკვეტაძეს** ვლადიმერ თეიმურაზის-ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესი განათლების განყოფილების უფროსს, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს.

29. **ჩიკვაიძეს** მიხეილ ნიკოლოზის-ძეს — გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგეს.

30. **ცირეკიძეს** ვასილ რაჟდენის-ძეს — გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტს ქ. ტყიბულში.

31. **ცქიტაშვილს** კარლო ვარლამის-ძეს — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს.

32. **წიტაიშვილს** ნიკოლოზ არტემის-ძეს — მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს.

33. **წულუკიძეს** კონსტანტინე კირილეს-ძეს — მშრომელთა დეპუტატების თბილისის ოლქის აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს.

34. **ხანთაძეს** შოთა ანდრიას-ძეს — ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის საეციალურ სამეცნიერო redakciის განყოფილების გამგეს.

35. **ხანთაძეს** იოსეფინ გეორგის-ძეს — ქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ცენტრალური გამგეობის მდივანს.

36. **ხელაძეს** ირინე ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის გამგეს.

37. **ხელაძეს** გრიგოლ სეოდის-ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“ გამგეობის რეფერენტს.

38. **ხომერიკს** შალვა ალექსის-ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“ გამგეობის რეფერენტს.

39. **ჯორჯიაშვილს** ზაალ სიმონის-ძეს — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“ გამგეობის რეფერენტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი, 1967 წლის 11 სექტემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა ფართო მასებში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ დაარსების ოცი წლის თავთან დაკავშირებით დაჯილდოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **აბულაშვილი** არონ ბესარიონის-ძე — სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
2. **ახვლედიანი** ხარიტონ ახმედის-ძე — აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.
3. **აიბა** ვლადიმერ კასოს-ძე — საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.
4. **ბასნელაძე** გელა დომენტის-ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი.
5. **ბასლანია** შოთა იოსების-ძე — სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი.
6. **გასუგრავა** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე — ზესტაფონის რკინიგზის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
7. **გოგილაშვილი** ვლადიმერ თეიმურაზის-ძე — საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის ინსტრუქტორი.
8. **გრიგალაშვილი** ბეჟან ნიკოლოზის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის ხეკის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
9. **დგებუაძე** ქეთევან ნიკოლოზის ასული — საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი.
10. **დემირჩიევი** სადრადინ სოლესმოღლი — მარნეულის რაიონის კანაფახნის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე.
11. **ელაშვილი** ვასილ ივანეს-ძე — თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე.
12. **ვარდოსანიძე** ნიკოლოზ ალექსის-ძე — ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ბანერი, პროპაგანდისტი).
13. **თითბერია** ამირან ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის რეფერენტი.
14. **თავართქილაძე** ნიკოლოზ ტარიელის-ძე — თადარიგის გენერალი.
15. **ინალ-იფა** შალვა დენისის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.
16. **კვარაცხელია** ნიკოლოზ ევქთიმეს-ძე — წალენჯიხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.
17. **ლოლაძე** შალვა გიორგის-ძე — საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის მეორე მდივანი.
18. **მაჭავარიანი** ვლადიმერ გიორგის-ძე — თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.
19. **მორერელია** ალექსანდრე ბესარიონის-ძე — კოლხიდის სასოფლო-სამეურნეო კომპლექსური საცდელი სადგურის დირექტორი.
20. **ოყრუაშვილი** ბონდო აკაკის-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი.
21. **მისაბიშვილი** შოთა ვლადიმერის-ძე — სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი.
22. **მოისწრაფიშვილი** ზაქარო ყარამანის-ძე — საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.
23. **მახარაძე** ქსენია კონსტანტინეს ასული — ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის საამქროს უფროსი.
24. **მამუკაშვილი** სტეფანე იაკობის-ძე — საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.
25. **მუსელიანი** სევარიონ ტარასის-ძე — ლენტეხის საშუალო სკოლის დირექტორი.
26. **მაგრაქელიძე** აკაკი ხახულის-ძე — ონის პირველი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე.
27. **ნადირაძე** ქეთევან თეოფანეს ასული — ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის დირექტორი.
28. **ოვადოვსკი** ივანე მიხეილის-ძე — ტრუტ „ამიერკავკასიის მეტალურგშენის“ ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.
29. **რეხვიაშვილი** კონსტანტინე სერგოს-ძე — საქართველოს კომპარტიის ადგილობრივი რაიკომის მეორე მდივანი.
30. **სოსელია** ლუსიანე პატუხის-ძე — მშრომელთა დეპუტატების გალის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე.
31. **ხიმონიანი** ნერსეს ოგანეზის-ძე — ბოგდანოვკის რაიონის სოფ. ეშტიის საშუალო სკოლის დირექტორი.
32. **ტუაბა** ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე — ონაჰირის № 2 საშუალო სკოლის დირექტორი.
33. **ფირცხალავა** გედეონ ვლადიმერის-ძე — საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.
34. **ფაცურია** კონსტანტინე მოსეს-ძე — ლაჩრხუთის რაიონის სოფ. შრომის უბნის 8 წლიანი სკოლის დირექტორი.
35. **ღუდუშაური** პავლე მიხეილის-ძე — თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.
36. **შათირიშვილი** გიორგი ელიზბარის-ძე — თელავის რაიონის სოფ. იყალთოს ღვინის ქარხნის მეღვინე-ტექნოლოგი.
37. **შალამბერიძე** ლევან ალექსანდრეს-ძე — მშრომელთა დეპუტატების საჩხერის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.
38. **შონია** ნოდარ ნიკოლოზის-ძე — საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.
39. **შავაძე** იოსებ ილიას-ძე — საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე.
40. **შოთნიაშვილი** ქსენია დავითის ასული — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის მთავარი ბუღალტერი.
41. **ჩირიკაშვილი** გიორგი ივანეს-ძე — გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
42. **ძინძიბაძე** ზურაბ გრიგოლის-ძე — ლენინგორის რაიონის წინაგარის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
43. **ძნელაძე** ლევან ახმედის-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის საოლქო ორგანიზაციის ქ. ბათუმის პლანეტარიუმის დირექტორი.
44. **წიკლაური** ვლადიმერ სტეფანეს-ძე — საქართველოს კომპარტიის აუხბეგის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.
45. **ხორგუაშვილი** გიორგი გაბრიელის-ძე — კასპის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.
46. **ჯვებენავა** ლიანა შალვას ასული — საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვპაპაძე

თბილისი, 1967 წლის 11 სექტემბერი.

ღირსეული შეხვედრა ოქტომბრის დიად დღესასწაულს — ამ დევიზით შრომობენ წელს მაიაკოვსკის რაიონის მევენახეები. რაიონის მრავალმა მევენახემ სასახელო მაჩვენებლებს მიაღწია საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ შორის მაღალმაყოფილი შრომით გამოირჩევა სოფელ ობჩის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი, პენსიონერი კომუნისტი ასლან მაჭავარიანი. იგი აქ კოლმეურნეობის დაარსებიდან შრომობს და ყოველთვის მოწინავეთა რიგებშია. ამჟამად ა. მაჭავარიანი საოქტომბრო შრომითს ვახტზე დგას და გადაწყვეტილი აქვს 0,25 ჰექტარ ვენახში 90 ცენტნერი ყურძენი მოიყვანოს.

• • •

სურათზე: სოციალისტური შრომის გმირი, მევენახე ა. მაჭავარიანი.

ფოტო ბ. გერხამიასი, (საქმდესის ფოტოქრონიკა).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა ფართო მასებში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ დაარსების ოცი წლის თავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **აბულაშვილი** არონ ბესარიონის-ძე — სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
2. **ახვლედიანი** ხარიტონ ახმედის-ძე — აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.
3. **აიბა** ვლადიმერ კასოს-ძე — საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.
4. **ბასნელაძე** გელა დომენტის-ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი.
5. **ბასლანია** შოთა იოსების-ძე — სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი.
6. **გასუგრავა** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე — ზესტაფონის რკინიგზის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
7. **გოგილაშვილი** ვლადიმერ თეიმურაზის-ძე — საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის ინსტრუქტორი.
8. **გრიგალაშვილი** ბეჟან ნიკოლოზის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის ხეკის საშუალო სკოლის მასწავლებელი.
9. **დგებუაძე** ქეთევან ნიკოლოზის ასული — საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი.
10. **დემირჩიევი** სადრადინ სოლესმოღლი — მარნეულის რაიონის კანაფახნის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე.
11. **ელაშვილი** ვასილ ივანეს-ძე — თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე.
12. **ვარდოსანიძე** ნიკოლოზ ალექსის-ძე — ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ბანერი, პროპაგანდისტი).
13. **თითბერია** ამირან ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის გამგეობის რეფერენტი.
14. **თავართქილაძე** ნიკოლოზ ტარიელის-ძე — თადარიგის გენერალი.
15. **ინალ-იფა** შალვა დენისის-ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.
16. **კვარაცხელია** ნიკოლოზ ევქთიმეს-ძე — წალენჯიხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.
17. **ლოლაძე** შალვა გიორგის-ძე — საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის მეორე მდივანი.
18. **მაჭავარიანი** ვლადიმერ გიორგის-ძე — თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე.
19. **მორერელია** ალექსანდრე ბესარიონის-ძე — კოლხიდის სასოფლო-სამეურნეო კომპლექსური საცდელი სადგურის დირექტორი.
20. **ოყრუაშვილი** ბონდო აკაკის-ძე — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნას“ გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი.
21. **მისაბიშვილი** შოთა ვლადიმერის-ძე — სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი.
22. **მოისწრაფიშვილი** ზაქარო ყარამანის-ძე — საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.
23. **მახარაძე** ქსენია კონსტანტინეს ასული — ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის საამქროს უფროსი.
24. **მამუკაშვილი** სტეფანე იაკობის-ძე — საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.
25. **მუსელიანი** სევარიონ ტარასის-ძე — ლენტეხის საშუალო სკოლის დირექტორი.
26. **მაგრაქელიძე** აკაკი ხახულის-ძე — ონის პირველი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე.
27. **ნადირაძე** ქეთევან თეოფანეს ასული — ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის დირექტორი.
28. **ოვადოვსკი** ივანე მიხეილის-ძე — ტრუტ „ამიერკავკასიის მეტალურგშენის“ ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.
29. **რეხვიაშვილი** კონსტანტინე სერგოს-ძე — საქართველოს კომპარტიის ადგილობრივი რაიკომის მეორე მდივანი.
30. **სოსელია** ლუსიანე პატუხის-ძე — მშრომელთა დეპუტატების გალის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე.
31. **ხიმონიანი** ნერსეს ოგანეზის-ძე — ბოგდანოვკის რაიონის სოფ. ეშტიის საშუალო სკოლის დირექტორი.
32. **ტუაბა** ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე — ონაჰირის № 2 საშუალო სკოლის დირექტორი.
33. **ფირცხალავა** გედეონ ვლადიმერის-ძე — საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკ

ოქტომბერი და ჩვენი პლანეტა

ლენინის ანდერძით

ლაგოსი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, წერს ნიგერიის გაზეთი „უფსტ-ატერკენ პაილო“, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს აღნიშნავს ლენინის ანდერძის შესაბამისად. იგი ძირითადად ზრუნავს სსრ კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების გადიდებისათვის, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, და საერთაშორისო ასპარეზზე იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის.

ეს მტკიცე გენერალური ხაზი, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, გამოხატავს საბჭოთა ხალხის გადაწყვეტილებას იზრუნოს იმისათვის, რომ მომავალმა თაობებმაც ბედნიერად იცხოვრონ. ამიტომ მტკიცედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელები მიდიან ლენინის მიერ დასახული გზით და რომ სოციალიზმის სრულმა და საბოლოო გამარჯვებამ სსრ კავშირში შექმნა ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური და იდეოლოგიური წანამძღვრები, რათა გადავიდნენ კომუნისტური საზოგადოების შენებლობაზე, რაც ოქტომბრის რევოლუციის დიადი საქმის განგრძობა და განვითარებაა. (საკდესი).

დიადი იუბილეს აღსანიშნავად

ჰანოი, 9 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ს. აფონინი იუწყება:

ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სულ უფრო ფართოვდება მოძრაობა დიდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებას ამ საკითხზე მხურვალედ გამოეხმაურნენ რესპუბლიკის მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები.

ყველგან იმართება დიადი დღესასწაულისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები და მიტინგები, რომლებზეც ვიეტნამელი მშრომელები ხაზგასმით აღნიშნავენ იმ გამოცდილების უაღრესად დიდ მნიშვნელობას, რომელიც საბჭოთა ხალხმა შეიძინა საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის განმავლობაში. ჰანოის მექანიკურ ქარხანაში ახალგაზრდა მუშებმა დაიწყეს შეჯიბრება „8 სამუშაო საათში შევასრულოთ 10 საათის გეგმა“. სახარატო სამქრის ერთ-ერთი უბნის მუშებმა გადაწყვიტეს 7 ნოემბრის დღესასწაულისათვის გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან უნივერსალური ჩარხი და უწოდონ მას „დიდი ოქტომბერი“.

იუბილეს აღსანიშნავ მოძრაობაში ფართოდ ჩაებნენ ავრეთვე მერაკეტთა, მფრინავთა, მეზენიტეთა და სხვა გვარეობის ჯარების ქვეგანაყოფები, სახალხო დაცვის რაზმები.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა აქტიურად დაიწყეს დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონკრეტული გეგმების შესრულება. ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის კომიტეტი აწყობენ დიდ გამოფენას, რომელიც საბჭოთა კავშირის ცხოვრებას ეძღვნება. ბევრი მოძრავი გამოფენა მოქმედებს ახლა ვიეტნამის სხვადასხვა რაიონში. მალე რევოლუციის მუზეუმში გაიხსნება სპეციალური დარაზი, რომელიც ასახავს საბჭოთა ადამიანების ძმურ სოლიდარობას მებრძოლი ვიეტნამისადმი.

ვიეტნამელი მეცნიერები იუბილესათვის ამზადებენ მრავალ მეცნიერულ სტატიას საბჭოთა კავშირის გამოცდილების შესწავლის სხვადასხვა საკითხზე.

საოქტომბრო კონკურსი

პრაღა, 9 სექტემბერი. (საკდესი). პრაღის გაზეთი „ლიდოვა დემოკრაცია“ — ჩეხოსლოვაკიის სახალხო პარტიის ორგანო, ბერლინის „ნოიე �იტი“ — ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ორგანო და ვარშავის „სლოვო პოვშეხნე“ — პოლონეთის კათოლიკური მოძრაობის ორგანო აწყობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ერთობლივ კონკურსს.

საიუბილეო კონკურსის მონაწილეებმა სამი ან ექვეყანაში უნდა უპასუხონ 15 ერთნაირ კითხვაზე, რომლებიც უკავშირდება საბჭოთა კავშირთან ამ ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის ისტორიის სხვადასხვა ამბებს. კონკურსის გამარჯვებულთ მოელით მოგზაურობა საბჭოთა კავშირში, ბერლინში, ვარშავაში, პრაღაში და ფასიანი საჩუქრები.

გაზეთი „ლიდოვა დემოკრაცია“, რომელიც ამას იუწყება, დღეს წერს: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მოჭრა კაცობრიობის ისტორიაში. მან საძირკველი ჩაუყარა ჰუმანური სამყაროს, უეჭველობა ეროვნული სამყაროს მშენებლობას.

ჰიტლერული ფაშიზმის განადგურებით საბჭოთა კავშირმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხებს გუუკეალა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზა და უანგარო დახმარებას უწევს მათ რჩევითა და საქმით. ჩვენი ქვეყნების ხალხებს მსოფლიოს პირველ სოციალისტურ სახელმწიფოსთან აკავშირებთ მრავალი წლის თანამშრომლობით შემოწმებული გულითადი მეგობრობა.

ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი

საერთაშორისო ცხოვრება

მეშვიდობისა და პროგრესისათვის

ბერლინი, 10 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ფაშიზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღის გამო ბერლინში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელმაც მთელი სიძლიერით ცხადყო მშვიდობისა და პროგრესისათვის მებრძოლთა საერთაშორისო სოლიდარობა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა მისწრაფება დაიცვან თავიანთი ისტორიული მონაპოვარნი, იბრძოლონ ბონის ავანტიურისტული პოლიტიკის წინააღმდეგ.

მიტინგზე გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. გრიფუნბერგი. მან აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებებს, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკამ დაო საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. ეს ხელშეკრულებანი, თქვა მან, ცხადყოფენ სოციალისტური ქვეყნების ერთობასა და შეკავშირებას, მათს მტკიცე გადაწყვეტილებას გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ ბონელ რევანშისტთა აგრესიულ ხრიკებს.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ გერმანიის დელეგაციათა წარმომადგენლები. მშვიდობისა და უშიშროებისათვის ზრუნვით გამსჭვალული მათი სიტყვები გამოხატავს ხალხთა საერთაშორისო სოლიდარობის დიად ძალას.

საზეიმო სხდომა ფხენიანში

ფხენიანი. აქ გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ეროვნულ დღესასწაულს — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 19 წლისთავს. შეკრებილთა წინაშე მოხსენება გააკეთა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილემ პაკ სენ ჩერმა. (საკდესი).

მეგობრული თანამშრომლობა

ბელგრადი. აქ გაიმართა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მორიგი სესია. განიხილეს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ორგანიზაციათა მეცნიერული და ტექნიკური ურთიერთობის შემდგომი გაფართოების საკითხები. (საკდესი).

მიტინგი ვენსენის ყუეში

გაზეთ „ლუმანიტეს“ დღესასწაული

პარიზი, 11 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. საფონოვი გვაცნობებს:

გუშინ ვენსენის ტყეში გაიმართა პარიზელ მშრომელთა მასობრივი მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს „ლუმანიტეს“ დღესასწაულის მთავარ მოვლენად გადაიქცა.

მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა როლან ლერუამ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საფრანგეთში ნამდვილად დემოკრატიული რეჟიმი შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ განხორციელდა საფრანგეთის კომპარტიისა და მემარცხენე ძალების ფედერაციის მოქმედების საერთო პროგრამა“. შემდეგ რ. ლერუამ თქვა, რომ საფრანგეთის კომუნისტები მზად არიან კონკრეტულად და გულახდილად განიხილონ ასეთი პროგრამა დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციასთან ერთად და დარწმუნებული არიან, რომ წარმატება შესაძლებელია, ვინაიდან ამ ორი ძირითადი დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მოლაპარაკების დროს მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი.

რ. ლერუამ შეაფასა საფრანგეთის საშინაო პოლიტიკური ვითარება და თქვა, რომ ახლა მემარჯვენე პარტიები და დაჯგუფებები გარკვეულ აქტივობას იჩენენ „დე გოლის შემდგომი რეჟიმის“ მომზადებაში. მემარჯვენე ძალები ცდილობენ გააერთიანონ ყველაზე რეაქციული ელემენტები და ააღორძინონ წინა წლების პრაგმატიკული პოლიტიკა. ასეთ ვითარებაში, თქვა ლერუამ, დემოკრატებმა და რესპუბლიკელებმა უნდა შეინარჩუნონ ერთობა და ფხიზლად იყონ რეაქციის შეტევის საფრთხის წინაშე.

შეეხო რა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის პრობლემებს, რ. ლერუამ განაცხადა, რომ „ფრანგი კომუნისტები გმობენ მაო ძე-დუნისა და მისი ჯგუფის პოლიტიკას, რომლებიც უარს ამბობენ ანტიიმპერიალისტური ძალების საერთო მოქმედებაზე, ეწევიან მტრულ პროპაგანდას საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ და ღალატობენ კომუნიზმის იდეებს.

პარიზი, 11 სექტემბერი. (საკდესი). ნახევარ მილიონამდე კაცი მონაწილეობდა გაზეთ „ლუმანიტეს“ დღესასწაულში. დღესასწაულმა ერთხელ კიდევ მთელი ძალით ცხადყო ფრანგ მშრომელთა მტკიცე ნებისყოფა პროგრესისათვის, სოციალური თანასწორობისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში, წერს დღეს გაზეთი „ლუმანიტე“.

ორი დღის დღესასწაულის დროს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგებს 2.100 ახალი წევრი შეემატა, ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის რიცხვი კი 2.233-ით გაიზარდა. დღესასწაულზე შეგროვდა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური ბეჭდვითი ორგანოს 8.000 ახალი ხელმომწერი.

ჰაგუოშის კონფერენციის განცხადება

სტოკჰოლმი, 11 სექტემბერი. (საკდესი). XVII ჰაგუოშის კონფერენციის მონაწილეებმა, რომელიც რეგებიუში (შეეცია) გაიმართა, მოითხოვეს, რომ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა და ცნონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. კონფერენციის დასკვნითს განცხადებაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისათვის ევროპის ქვეყნებმა უნდა იკისრონ ვალდებულება არ გამოიყენონ ძალა საერთაშორისო სადავო პრობლემების გადასაჭრელად.

კონფერენციის მონაწილეებმა ურჩიეს ყველა სახელმწიფოს, რაც შეიძლება მალე მოაწერონ ხელი ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას.

ერთობლივი კრებული

ალბანეთი, 11 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს აქ დამთავრდა სახელმწიფოთა და თურქეთის მთავრობათა მეთაურების ორი დღის შეხვედრა, რომელზეც ორი ქვეყნის ურთიერთობის საკითხებს ახილავდნენ. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა ერთობლივი კომუნიკე. მოლაპარაკების მთავარი შინაარსი ის იყო, რომ ორი მხარე ცდილობდა შეთანხმებულიყო კვიპროსის საკითხის მოწესრიგების თაობაზე. კომუნიკედან ჩანს, რომ ამ საკითხის განხილვას მოსალოდნელი შედეგები არ მოჰყოლია. ორივე მხარე დასჯერდა იმას, რომ კომუნიკეში აღნიშნეს „თანასმა არიან შესაფერისი გზებით განაგრძონ კვიპროსის საკითხზე შეხედულებათა დაახლოების შესაძლებლობათა შესწავლა“.

კომუნიკეში ორივე მხარემ დაადასტურა, რომ ერთგულად იცავენ ორი ქვეყნის ყველა არსებულ შეთანხმებას.

ახალი საპროტესტო დემონსტრაცია მილუოკში

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. (საკდესი). მილუოკის (ვისკონსინის შტატი) ორი ათას ხუთასზე მეტი მცხოვრები — უმარტესად ზანგები — გამოვიდა გუშინ საღამოს ქალაქის ქუჩებში. 14 დღეზედიზედ ისინი აწყობენ დემონსტრაციებს, მოითხოვენ რასობრივი დისკრიმინაციის შეწყვეტას ბინების გაქირავების დროს.

დემონსტრაციას მეთაურობდნენ ცნობილი ზანგი მსახიობი დიკ გრეგორი და თეთრკანიანი მღვდელი ჯეიმს გროში — მილუოკში რასობრივი უთანასწორობის გაუქმებისათვის მოძრაობის ხელმძღვანელი. „მთელი გულით მძულს რასიზმი... რასიზმი — ესაა ავადმყოფობა, კიბო, რომელიც ღრღნის ამერიკულ საზოგადოებას“, — უთხრა გროპომ დემონსტრაციის წინ გამართული მიტინგის მონაწილეებს.

საფრანგეთისა და პაკისტანის მთავრობათა გადაწყვეტილება

პარიზი, 11 სექტემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ბანკოკელი კორესპონდენტი იუწყება: საფრანგეთისა და პაკისტანის წარმომადგენლები აქ მიიღებენ მონაწილეობას სეატოს ბლოკის წევრი ქვეყნების სამხედრო მრჩეველთა მორიგ კონფერენციაში, რომელიც იხსნება ხვალ ტაილანდის დედაქალაქში.

კორესპონდენტი იმოწმებს სეატოს ბლოკის ხელმძღვანელი ორგანოების ოფიციალურ წყაროებს და აღნიშნავს, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა პაკისტანი მეთვალყურეს კი არ გზავნის ასეთ კონფერენციაზე.

ჩილეს კომპარტიის ეროვნული კონფერენცია

სანტიაგო, 11 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გაიხსნა ჩილეს კომპარტიის ეროვნული კონფერენცია. დღის წესრიგის მთავარი საკითხია მუშაობა პარტიის შემდგომი ორგანიზაციული, იდეოლოგიური და პოლიტიკური განმტკიცებისათვის.

ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომისიის მოხსენება კონფერენციაზე გააკეთა ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლუის კორვალანმა. მან დაწვრილებით გააშუქა შინაპარტიული ცხოვრებისა და პარტიისა და მასების კავშირის განმტკიცების ახალი მეთოდების გამოყენების საკითხები.

მომხსენებელმა აგრეთვე საფუძვლიანად გააანალიზა ჩილეს ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა და პერსპექტივები პარტიის ბრძოლისა ჩილეში დემოკრატიის განმტკიცებისათვის, მემარჯვენე ძალების განზრახვის წინააღმდეგ ხელი შეუშალოს ძირეულ ეკონომიურ და სოციალურ ცვლილებებს და უწინარეს ყოვლისა აგრარული, საბანკო და სხვა რეფორმების განხორციელებას.

ლუის კორვალანმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. მან თქვა: „ყველაზე დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ კაცობრიობის ისტორიაში უეცრობად დაამტკიცა, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოწინავე იდეებს, რომლებსაც ავანგარდული პარტია განასახიერებს“.

საზეიმო ვითარებაში ჩილეს კომპარტიის კონფერენციაზე პარტიის ათასმა ახალმა წევრმა დადო ფიცი, რომ ერთგულად დაიცავენ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს.

„სერვეიორ-5“ მთვარეზე დაჯდა

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის კოსმოსური ხომალდი „სერვეიორ-5“ დღეს რბილად დაჯდა მთვარის ზედაპირზე.

უკანასკნელი 48 საათის განმავლობაში მეცნიერებს ეშინოდათ, რომ ხომალდი დაიმსხვრეოდა დაჯდომის დროს სათბობი სისტემიდან ჰაერის გაჟონვის გამო.

ქონვა დაიწყო გამოურკვეველი მიზეზების გამო მაშინვე, როცა „სერვეიორ-5“ 8 სექტემბერს გაუშვეს კენედის კონცხიდან.

ხომალდი აღჭურვილია ფოტო-სატელევიზიო აპარატურით დედამიწაზე მთვარის ზედაპირის ფოტოსურათების გადმოსაცემად, აგრეთვე ხელსაწყოებით ზედაპირის ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრისათვის.

„სერვეიორ-5“-მა დაიწყო მთვარის ზედაპირის ფოტოსურათების გადმოცემა.

შეფყვიტეს „ბიოს-2“-ის ფრენა

ნიუ-იორკი. შაბათს, გთვალისწინებულ ვადაზე ერთი დღით ადრე შეწყვიტეს კოსმოსური ბიოლოგიური ლაბორატორიის „ბიოს-2“-ის ფრენა იმის გამო, რომ უწესივრობა მოხდა მართვის სისტემაში და დაჯდომის რაიონში მოსალოდნელი იყო შტორმი. კოსმოსური ლაბორატორია, რომელიც პარაშუტით ეშვებოდა, სპეციალური მოწყობილობის საშუალებით დაიჭირა ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავმა. (საკდესი).



საბჭოთა პროექტით — კისუმუში. კენიის ქალაქ კისუმუში ჰოსპიტალის მშენებლობის ხაჩუქარი კენიის მთავრობისა და ხალხისადმი. პანორამა. ეს ჰოსპიტალი შენდება როგორც საბჭოთა მთავრობის ფოტო ვ. ზახაროვისა. (ახალი ამბების სააგენტო).

დაგმეს ვილსონის პოლიტიკა

ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა ინგლისის ლეიბორისტული მოძრაობის ისტორიაში. ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა მორიგ კონგრესზე პროფკავშირებმა, რომლებიც ტრადიციულად ლეიბორისტული პარტიის ბურჯად ითვლებიან, მხარი აღარ დაუჭირეს ვილსონის საგარეო და საშინაო პოლიტიკას. უნდა ითქვას, რომ პროფკავშირთა წინა კონგრესებზეც მრავალგზის საკმაოდ მკვეთრად აკრიტიკებდნენ მთავრობას, მაგრამ ლეიბორისტული ლიდერები და ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის ხელმძღვანელობა ახერხებდა ხელი შეეშალა არასასურველი რეზოლუციების მიღებისათვის. მიმდინარე წელს პირველად მოხდა, რომ მშრომელთა უკმაყოფილება მთავრობის პოლიტიკის გამო გამოიხატა იმით, რომ არსებითად მთავრობა ამ გამოუცხადეს უნდობლობის ვოტუში.

პირველი ლასტარი ჩასცეს ვილსონის საგარეო პოლიტიკას. ხმის უმრავლესობით კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ ინგლისი გაემიჯნოს ამერიკის აგრესიას ვიეტნამში და ეფექტიანი წვლილი შეიტანოს იმ მოლვაწეობაში, რომლის მიზანია ომის შეწყვეტა და ვიეტნამის საკითხის მოწესრიგება ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა საფუძველზე. შემდეგ ხმის მნიშვნელოვანი უმრავლესობით მოიწონეს რეზოლუცია, რომელიც აკრიტიკებს მთავრობის პოლიტიკას ფასებისა და შემოსავლის დარგში. ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მთავრობის ეს პოლიტიკა იმით ამოიწურება, რომ ცდილობს ინგლისის სერიოზული ეკონომიური სიძნელეები დაძლიოს მშრომელთა ხარჯზე ხელფასის დაბალი დონის შენარჩუნების მიზნით მაშინ, როცა კაპიტალისტთა შემოსავალი მთავრობის ორგანიზაციათა ეფექტიან კონტროლს არ ექვემდებარება.

მეორე რეზოლუციაში, რომელიც კონგრესმა მიიღო, აღნიშნულია მრეწველობის ახლანდელი მოდუნებისა და საგარეო ვაჭრობის საგადამხდელო ბალანსის სავალალო მდგომარეობის მიზეზი, სახელდობრ — დიდი სამხედრო ხარჯები. რეზოლუცია მოითხოვს სამხედრო ხარჯების მკვეთრ შემცირებას, მოგებისა და ფასების ზრდის შეზღუდვას, ეკონომიკის საზოგადოებრივი სექტორის გაფართოებას.

საგულისხმოა, რომ ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის ხელმძღვანელობის ცდა როგორმე გაეყვანათ რეზოლუცია, რომელიც შეიძლებოდა წარმოედგინათ ისე, თითქოს პროფკავშირები „გაგებით ეკიდებიან“ მთავრობის პოლიტიკას, ამკერძოდ ამაო გამოდგა.

კონსერვატორთა პრესის აზრით, ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის შედეგები მოწმობენ, რომ პროფკავშირები კმაყოფილი არ არიან ზოგიერთი მინისტრით, და, კერძოდ, „უნდობლობას უცხადებენ თვით პრემიერ-მინისტრს“.

ინგლისის პრესა წერს, რომ ვილსონის მთავრობა სულაც არ აპირებს სავალდებულოდ მიიჩნიოს ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გადაწყვეტილებანი და „მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი“ განახორციელოს ძველი პოლიტიკა. ვილსონს იმის იმედი აქვს, რომ დაიყოლიებს ლეიბორისტული პარტიის კონფერენციას, რომელიც ოქტომბრის დამდეგს გაიმართება, მხარი დაუჭიროს მთავრობას. ეს იმედი საკმაოდ უსაფუძვლოა. ამ დღეებში გამოქვეყნდა მომავალი ლეიბორისტული კონფერენციის მასალები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკა მკვეთრად გაკრიტიკებულია პარტიის მთელ რიგ ადგილობრივ განყოფილებათა რეზოლუციების პროექტებში. პრესის აზრით, კერძოდ, ადვილი შესაძლებელია, რომ მიიღონ რეზოლუცია ვიეტნამის საკითხზე, რომელიც გმობს ინგლისს ამერიკელ აგრესორთა მხარდაჭერისთვის. მთელი რიგი რეზოლუციების პროექტები უარყოფენ ლეიბორისტული მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას. ლეიბორისტული პარტიის მემარცხენე ფრთამ გადაწყვიტა სეროზულად იბრძოლოს ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებზე. პარტიის აღმასრულებელ კომიტეტში ადგილებისათვის ბრძოლას აპირებენ თვალსაჩინო მემარცხენე ლეიბორისტები.

სამხრეთ არაბეთის პატრიოტთა წარმატებანი

რამდენიმე ხნის წინათ ინგლისელმა იმპერიალისტებმა შექმნეს ეგრეთ წოდებული სამხრეთ არაბეთის ფედერაცია. ამ ფედერაციაში შევიდა ქალაქი ადენი და 17 სამთავრო, რომლებიც უძველესი დროიდან ინგლისის პროტექტორატს ექვემდებარებოდნენ. ფედერაციის მთავრობაში შეიყვანეს გამყიდველი შეიხები და სულთანები, ინგლისის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ მარიონეტული მთავრობის დახმარებით შეინარჩუნებდა გავლენას სამხრეთ არაბეთში იმის შემდეგაც, როცა ფორმალურად მიანიჭებდა დამოუკიდებლობას, რაც 1968 წლის ივნვარშია გათვალისწინებული.

მაგრამ აგვისტოში პატრიოტული ძალების შეტევების შედეგად ინგლისელთა პოლიტიკური შენობა დაინგრა. ეროვნული განთავისუფლების ფრონტის რაზმებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს 12 სამთავრო. მარიონეტული მთავრობის შეშინებული წევრები გაიფანტნენ. ხალხი „მთავრობის“ ერთადერთ წევრს, რომელიც სამხრეთ არაბეთში დარჩა, ინფორმაციის მინისტრს ბაიუის სხვა არაფერი დარჩენოდა და გამოაცხადა, „მთავრობა აღარ არსებობსო“. სამხრეთ არაბეთის ინგლისელ ოფიცრებმა ადენში ოპერაციები ეწარმოებინა პატრიოტული ძალების წინააღმდეგ. ამრიგად ინგლისელმა იმპერიალისტებმა დაინახეს, რომ სამხრეთ არაბეთში აღარა აქვთ რაიმე საიმედო საყრდენი. როგორც ჩანს, სწორედ ამან აიძულა ინგლისის უმაღლესი კომისარი სამხრეთ არაბეთში ტრეველიანი 5 სექტემბერს, ლონდონში გამართული კონსულტაციების შემდეგ, განეცხადებინა, რომ შესაძლებელია მოლაპარაკება პატრიოტული ძალების ხელმძღვანელობასთან.

მაგრამ ამ ვითარებაშიც ინგლისელი კოლონიზატორები განაგრძობენ მანევრებს. როგორც ჩანს, მათ იმედი აქვთ გამოიყენონ ორი პატრიოტული ორგანიზაციის მეტოქეობა. ერთ-ერთი პატრიოტული ორგანიზაცია — იემენის ოკუპაციის გამოხატვას ხალხთა საერთაშორისო სოლიდარობის დიად ძალას.

ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი

საქმეთა მიმოხილვა

ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი

ინგლისელ ამერიკელ აგრესორთა მხარდაჭერისთვის. მთელი რიგი რეზოლუციების პროექტები უარყოფენ ლეიბორისტული მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას. ლეიბორისტული პარტიის მემარცხენე ფრთამ გადაწყვიტა სეროზულად იბრძოლოს ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნებზე. პარტიის აღმასრულებელ კომიტეტში ადგილებისათვის ბრძოლას აპირებენ თვალსაჩინო მემარცხენე ლეიბორისტები.

სამხრეთ არაბეთის პატრიოტთა წარმატებანი

რამდენიმე ხნის წინათ ინგლისელმა იმპერიალისტებმა შექმნეს ეგრეთ წოდებული სამხრეთ არაბეთის ფედერაცია. ამ ფედერაციაში შევიდა ქალაქი ადენი და 17 სამთავრო, რომლებიც უძველესი დროიდან ინგლისის პროტექტორატს ექვემდებარებოდნენ. ფედერაციის მთავრობაში შეიყვანეს გამყიდველი შეიხები და სულთანები, ინგლისის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ მარიონეტული მთავრობის დახმარებით შეინარჩუნებდა გავლენას სამხრეთ არაბეთში იმის შემდეგაც, როცა ფორმალურად მიანიჭებდა დამოუკიდებლობას, რაც 1968 წლის ივნვარშია გათვალისწინებული.

მაგრამ აგვისტოში პატრიოტული ძალების შეტევების შედეგად ინგლისელთა პოლიტიკური შენობა დაინგრა. ეროვნული განთავისუფლების ფრონტის რაზმებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს 12 სამთავრო. მარიონეტული მთავრობის შეშინებული წევრები გაიფანტნენ. ხალხი „მთავრობის“ ერთადერთ წევრს, რომელიც სამხრეთ არაბეთში დარჩა, ინფორმაციის მინისტრს ბაიუის სხვა არაფერი დარჩენოდა და გამოაცხადა, „მთავრობა აღარ არსებობსო“. სამხრეთ არაბეთის ინგლისელ ოფიცრებმა ადენში ოპერაციები ეწარმოებინა პატრიოტული ძალების წინააღმდეგ. ამრიგად ინგლისელმა იმპერიალისტებმა დაინახეს, რომ სამხრეთ არაბეთში აღარა აქვთ რაიმე საიმედო საყრდენი. როგორც ჩანს, სწორედ ამან აიძულა ინგლისის უმაღლესი კომისარი სამხრეთ არაბეთში ტრეველიანი 5 სექტემბერს, ლონდონში გამართული კონსულტაციების შემდეგ, განეცხადებინა, რომ შესაძლებელია მოლაპარაკება პატრიოტული ძალების ხელმძღვანელობასთან.

მაგრამ ამ ვითარებაშიც ინგლისელი კოლონიზატორები განაგრძობენ მანევრებს. როგორც ჩანს, მათ იმედი აქვთ გამოიყენონ ორი პატრიოტული ორგანიზაციის მეტოქეობა. ერთ-ერთი პატრიოტული ორგანიზაცია — იემენის ოკუპაციის გამოხატვას ხალხთა საერთაშორისო სოლიდარობის დიად ძალას.

ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი

ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი — ეროვნული ფრონტი

სხვადასხვა მერიდიანზე

□ **კინშასა**, 11 სექტემბერი. (საკდესი). კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბომბოკომ დღეს შეაღამისას დასტურა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრთა საბჭოს მეცხრე სესია.

□ **კაირო, 11 სექტემბერი. (საკდესი).** სირიის ახალგაზდელ პრემიერ-მინისტრს იუსეფ ზუეინს დაევალა ახალი მთავრობის შექმნა. ახალი კაბინეტის შემადგენლობას უახლოეს დღეებში გამოაცხადებენ. როგორც მეცნიის სააგენტოს დამასკელი კორესპონდენტი იუწყება, ეს გადაწყვეტილება მიღებულია მას შემდეგ, რაც დამთავრდა სირიის რესპუბლიკის მმართველი პარტიის — არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ყრილობა.

□ **ნაირობი**, 11 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ზამბიის პრეზიდენტის კანცელარიის ლუსაკელმა წარმომადგენელმა განაცხადა, ზამბიის მთავრობამ გადაწყვიტა სამხედრო, პოლიციური და საჰაერო პატრულირება შემოიღოს მდინარე ზამბეზის ხეობის დასახლებულ რაიონებში იმის გამო, რომ როდეზიის პოლიციამ გააქტიურა მოქმედება.

□ **კაირო**, 11 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სანის რადიო გვაცნობინებს, ბეიჯანის სავეიროს არმიამ და სამოქალაქო მოსახლეობამ ხელში აიღეს ძალაუფლება და რესპუბლიკა გამოაცხადეს. ბეიჯანის სამთავრო მდებარეობს იემენსა და სამხრეთ არაბეთს შორის. როგორც რადიო გვაცნობინებს, ბეიჯანის ემირი საუდის არაბეთში გაიქცა.

სისხლისღვრა ეკვადორში

გუაიაკილი, 11 სექტემბერი. (საკდესი). ეკვადორის სანაპიროზე ქალაქ მანტაში (მანაბის პროვინცია) 8 და 9 სექტემბერს სისხლისმღვრელი ამბები მოხდა.

ქალაქის მცხოვრებთა მიმართ პოლიციისა და მთავრობის ჯარების თვითნებობის უხეში აქტებით აღშფოთებულმა სტუდენტებმა სასტრატეტურ დემონსტრაცია მოაწყვეს. დემონსტრაციის დროს გამოირკვა პოლიციის ახალი დანაშაული — მოკლეს მანაბის პროვინციის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სტუდენტი 23 წლის ალბერტო ანდრადე. პოლიციელმა იგი უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში მოკლა.

ამ საზიზღარმა მკვლელობამ



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია თავისი წესდების მე-16, მე-19 და მე-20 მუხლების შესაბამისად აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ასარჩევად აკადემიის შემდეგ განყოფილებათა და სპეციალობათა მიხედვით:

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება

მათემატიკა	2
ფიზიკა	3

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება

გეოლოგია	1
გეოფიზიკა	1

გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილება

განმანათლებლობა	1
ელექტროტექნიკა, ენერგეტიკა, ავტომატიკა	1
კიბერნეტიკა	1

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება

ქიმია, ტექნოლოგია	2

ბიოლოგიის განყოფილება

ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია	2
პარაზიტოლოგია, ჰელმინთოლოგია	1
აგროქიმია	1
ექსპერიმენტული მედიცინა	2
მეცხოველეობა	1

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

ეკონომიკა	1
ფსიქოლოგია	1
საგარეო სამართალი	1
საქართველოს ისტორია	1
ფილოლოგიური მეცნიერებანი	1
არქეოლოგია, ეთნოგრაფია	1
ხელოვნების ისტორია	1

მეცნიერებათა აკადემიის წესდების მე-15 მუხლის შესაბამისად აკადემიის წევრ-კორესპონდენტებად შეიძლება არჩეულ იქნენ ცოდნის სხვადასხვა დარგის გამოჩენილი მეცნიერები, რომლებმაც მეცნიერებას დიდმნიშვნელოვანი შრომები შესძინეს.

სამეცნიერო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ცალკე მეცნიერ მუშაკებსა და მათს ჯგუფებს უფლება აქვთ ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში წერილობით და შესაბამისი დასაბუთებით წამოაყენონ აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატურები ზემოთ დასახელებულ სპეციალობათა მიხედვით.

მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატურების წამოყენებისას აუცილებელია შემდეგი მასალის დართვა (სამ-სამ ცალად): კანდიდატის ბიოგრაფია, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, სამეცნიერო შრომების სია და მათი მეცნიერული შეფასება, კანდიდატის დახასიათება და ფოტოსურათი 9X12 სმ. ზომისა.

მთელი მასალა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, ძერჟინსკის ქ., 8 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

ქართველ მხატვართა საიუბილეო გამოფენა



11 სექტემბერს თბილისში გაიხსნა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს მხატვართა ნაწარმოებების რესპუბლიკური გამოფენა. გამოფენა მოაწყეს საქართველოს კულტურის სამინისტრომ, მხატვართა კავშირმა, სურათების სახელმწიფო გალერეამ. გამოფენაზე წარმოდგენილია 300 ავტორის ფერწერის, ქანდაკებისა და გრაფიკის 900-ზე მეტი ნაწარმოები, ექსპონატები გახლაგებულია სამ უდიდეს სავაჟოფენო დარბაზში.

გამოფენაზე წარმოდგენილ საუკეთესო ნაწარმოებებს შეარჩევენ მხატვართა სრულიად საკავშირო გამოფენისათვის, რომელიც გაიმართება მოსკოვში. (საქდესი).

* * *

სურათზე: საიუბილეო გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

რომორ გადაარჩინეს ბერძენი მეზღვაურები

ხერსონის ნავსადგურში ჩამომდგარი საბჭოთა თბომავლის „ვაგას“ კაპიტანმა მ. ა. კრასნამ სატელეგრამა კორესპონდენტს დაწერილებით უამბო თუ, როგორ გადაარჩინეს საბერძნეთის თბომავლის „მანდოს“ ეკიპაჟი. ეს ეგეოსის ზღვაში მოხდა 30 აგვისტოს შუადღისას. საბჭოთა ხომალდზე, რომელსაც იუგოსლავიიდან მოჰქონდა ბოქსიტები, მიიღეს უბედურების სიგნალი, რომელიც საბერძნეთის სანაპირო რადიოსადგურმა გადმოსცა. „ვაგამ“ მაშინვე დაიწყო გაჭირვებაში ჩავარდნილი გემის ძებნა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გემის რადიოოპერატორის საშუალებით აღმოაჩინეს საბერძნეთის ხომალდი. ახლოს, რომ მივიდნენ, საბჭოთა მეზღვაურებმა დაინახეს, რომ გემი იძირებოდა, იქვე კი ორი კაჯრო იყო ეკიპაჟის წევრებით. წყალში სასწრაფოდ ჩაუშვეს მოტორიანი ნავი, რომელზეც გადაიყვანეს მთელი ეკიპაჟი კაპიტნის მეთაურობით. საბერძნეთის გემი საბჭოთა ფლოტის ბერძენი მეზღვაურების თვალწინ ჩაიძირა.

როგორც გაირკვა „მანდოს“ ავარია მოუვიდა ერთ-ერთ ტროიუმში წყლის შემოტრის შედეგად.

მნიშვნელოვანი სამეცნიერო ფორუმი

სნფულებათა წყებაში, რომელთა ბუნების შემდგომი დაზუსტება საკაცობრიო მნიშვნელობისაა, შედის ის ფსიქიკური დაავადებაც, რომელიც საყოველთაოდ შიზოფრენიის სახელწოდებით არის ცნობილი.

თანამედროვე ფსიქიატრიაში შიზოფრენია საგსებით სამართლიანად მიჩნეულია ნომერ პირველ პრობლემად.

ეს დაავადება ფსიქოზთა შორის ყველაზე გავრცელებულია და ამავე დროს არცთუ იქი იშვიათად იჩენს მიდრეკილებას ქრონიკული მიმდინარეობისადმი. თუ ამას დავამატებთ იმ გარემოებასაც, რომ შიზოფრენია უმთავრესად ახალგაზრდა ასაკის დაავადებაა, სავსებით გასაგები გახდება მისი ნიშანდობლივი წონა ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სნეულებას ინდივიდუალურად სწავლობს არაერთი მკვლევარი, მისი ბუნების შემდგომი დაზუსტება, რომელიც ჯერ კიდევ მრავალმხრივ გამოსაკვლევია, ოფიციალურად დავალებული აქვს საბჭოთა კავშირის ფსიქიატრთა ორ კოლექტივს, სახელდობრ, საბჭოთა კავშირის სამედიცინო აკადემიის და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს.

ამ დაწესებულებათა კვლევითი პროდუქცია, მიძღვნილი შიზოფრენიისადმი, სისტემატურად ქვეყნდება პრესაში ცალკე სტატიების. მონოგრაფიებისა და კრებულების სახით. 14 სექტემბრიდან 18 სექტემბრამდე კი თბილისში შედგება ამ კოლექტივების შემოქმედებითი შეხვედრა.

მეცნიერთა მიგობრული ფორუმის ღიის წესრიგშია თეორიულად და პრაქტიკულად ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის შიზოფრენიის კლინიკა და ფსიქოპათოლოგია, მისი პათობიოლოგია და მკურნალობა, ეპიდემიოლოგია და სხვ.

სამეცნიერო სესია გაიხსნება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სააქტო დარბაზში. სესიის მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევენ ისეთი გამოჩენილი მკვლევარები, როგორიც არიან აკადემიკოსები ა. ვ. სნეჟევსკი და ა. დ. ზურაბაშვილი.

ი. მენთეშაშვილი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ნაირ-ნაირი

ახალციხე. (საკ. კორ.). ღვინის ქარხნის კოლექტივმა ჩამოასხა 87.317 დეკალიტრი ღვინო, რითაც 113 პროცენტით გაანაღდა შვიდი თვის საწარმოო დავალება. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქარხანამ ღვინის ჩამოსხმა გაადიდა 6.562 დეკალიტრით, ანუ 8 პროცენტით.

ახალციხელ მეღვინეთა გადაწყვეტილებაა ვადამდე გადაჭარბებით გაანაღდონ ათი თვის დავალება და მაღალხარისხოვანი ორდინარული ღვინოებით დაამშვენონ მშრომელთა საიუბილეო სუფრა.

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში რიკოთხევის სტაყეო მეურნეობის უფროსმა რ. აბაშიძემ წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის მეშვიდე გამოშვების 56734 სერიის № 264 ბილეთი, რომელსაც ტელევიზორი „რეკორდი“ ხვდა.

„მოჯადოებული“ ქელი

„დინამო“ (თბილისი) — „ნეფტიანიკი“ (ბაკო) 1:0 (0:0). თბილისი. 10 სექტემბერი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

„დინამო“ — კოტრიკაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ხუციკოვა, გ. სიჭინავა (გავაშელი), პიტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, ნოდია, მესხი;

„ნეფტიანიკი“ — კრამარენკო, ა. ბაბაევი, ბრუსტი, ი. ბაბაევი, ბოგდანოვი, სემიონოვი, ტუაევი, გაჯიევი, ბანიშევსკი, მარქაროვი, ზეინალოვი (აბდულაევი).

დიდ ფეხბურთს კვალდაკვალ მისდევს „ნეფტიანიკის“ კოლექტივი. იგი წლევანდელი თასის გათამაშების ნახევარფინალისტია, ამასთანავე საკავშირო ჩემპიონატის ცხრილში ცუდი ადგილი როდი უჭირავს.

ასეთ კოლექტივთან ჰქონდათ საქმე კვირას თბილისის დინამოელებს. მატჩმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა — ვნახეთ შეუპოვარი ბრძოლა, არაერთი დასამახსოვრებელი მომენტი, ბანიშევსკისა და ხუციკოვავას „დუელი“.

პირველმა წუთებმა ცხადყო, რომ ორივე გუნდი აგრესიული ბრძოლისათვის იყო განწყობილი. ტემპი მაღალი აღმოჩნდა. დასაწყისში პაექრობა ცენტრის კონტროლისათვის წარმოებდა. შემდეგ კი თანდათანობით ნათელი გახდა მეტოქეთა ტაქტიკური სქემა. ბურთის დამუშავებასა და კომბინაციებში მასპინძლებს გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ კარზე სახიფათო იერიშში სასწორი ზოგჯერ სტუმართა მხარეზე იყო გადახრილი. ნაკრების ორი წარმომადგენელი — დაცვის დირიჟორი ხუციკოვავა და საუკეთესო ბომბარდირი ბანიშევსკი საგულდაგულოდ დარაჯობდნენ ერთმანეთს, მაგრამ დადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ მატჩში ხუციკოვავამ გაცილებით მეტი გააკეთა, ვიდრე ბანიშევსკიმ.

ასეთ ვითარებაში ბაქოელები იმედს მარქაოოვზე, ტუაევსა და გაჯიევზე ამყარებდნენ. არც ზეინალოვი და სემიგლაზოვი იუვნენ საერთო ანსამბლს მოწყვეტილი. და მაინც მიგვაჩნია, რომ უფრო ეფექტურად დინამოელები მოქმედებდნენ — მარცხენა ფლანგზე მესხი და ასათიანი, ცენტრში ნოდია და მეტრეველი, ხოლო მარჯვენა ფლანგზე — კუტივაძე.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ორი ფრიად დასამახსოვრებელი მომენტი, კერძოდ დინამოელთა კართან შექმნილი სიტუაციები და ძელის როლი. ალბათ დაგვერწმუნებიან, რომ ვერც ერთი მეკარე ვერ შეძლებდა იმ ბურთების მოგერიებას, რომლებიც დინამოელთა კარის ძელმა იხსნა მე-13 და მე-16 წუთებზე. არც თბილისელ ფორვარდებს სწყალობდათ ბედი, მათაც დაკარგეს რეალური შესაძლებლობები.

მეორე ნახევარში ბრძოლას მეტი სანახაობითი სახე ჰქონდა, იმატა სიმძაფრემ, ტემპმა. 52-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან კომბინაცია მეტრეველმა წამოიწყო, რომელსაც მისივე კარად გამიზნული ჩაწოდება მოჰყვა. აქ ელვის სისწრაფით ბურთს დაეუფლა მესხი და იერიში გოლით დაგვირგვინა.

ბაქოელებს უკანდასახევი გზა არ ჰქონდათ, ამიტომ ყველა წინ თამაშობდა. მე-80 წუთზე პეტროაშვილმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, რაც შესაძლოა საბედისწეროც კი ყოფილიყო, მაგრამ თბილისელთა კარი გოლს გადაურჩა.

წუთები ამოიწურა, დინამოელებმა გადალახეს წარუმატებლობის ზღუდეები, მოიგეს მატჩი 1:0.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მსაჯი პ. კაზაკოვი ზოგჯერ სცდავდა და ზედმეტი ნერვიულობა შეჰქონდა ისედაც დაძაბულ თამაშში.

ვ. გაბელია.

რევანში შედგა

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „არარატი“ (ერევანი) 2:1 (1:0). ქუთაისი. 10 სექტემბერი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ვ. ბარაშკოვი (მოსკოვი).

„ტორპედო“ — კვასხვაძე, წვერაკაძე, წივწივაძე, ებრალიძე, ძოძუაშვილი, ილიადი, ერქომაიშვილი, ასიტაშვილი, ვეკუა, ხაჟალია (ხუციშვილი), ჭითანავა;

„არარატი“ — ა. აბრამიანი, მელროპიანი, ფ. აბრამიანი, ოვსეპიანი, იმაკულოვი, სეროპიანი (ბონდარენკო), ოვანესოვი, ვიუნი, კოვალენკო, ეგიიაზარიანი, კაზარიანი.

რა თქმა უნდა, ორივე გუნდს მეტად სწადდა გამარჯვება, მაგრამ ამ მხრივ ქუთაისელებს მეტი საზრუნავი ჰქონდათ, როგორც სატურნირო მდგომარეობის, ისე რევანშის თვალსაზრისით. უკვე მეორე წუთზე „ტორპედოს“ ფართან აღმართა ცოფი 1, რაც პირველ გოლის მიუწყებელი იყო. ეს აც მოხდა. საჯარიმო მოედნის მისაგომებთან ერევნელმა მცველებმა უხეშად ითამაშეს — ჯარიმა. წვერაკაძეს ჩამოწოდებულ ბურთს მეკარეზე ადრე ხაჯალიამ მიუსწრო და თავური დარტყმით მეტოქის კარი აიღო.

სტუმრები ასეთ დასაწყისს არ მოელოდნენ. მათს რიგებში თავი იჩინა ზედმეტმა ნერვიულობამ. დაბნეულობამ. ტორპედოელებ ტაიმის ბოლომდე ინარჩუნებდნენ გარკვეულ უპირატესობას, სავოლ მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

მეორე ტაიმი წვიმდა. ამან თავის დაღი დასვა ბრძოლის მსვლელობას. მე-60 წუთზე სტუმართა ერთ-ერთ კომბინაციას საპასუხო გოლი მოჰყვა. ბურთი კაზარიანმა გაიტანა. ბრძოლა უფრო საინტერესო გახდა, იმატა ტემპმ. ორივე გუნდი ძალთა მთელი მობილიზებით იბრძოდა. 66-ე წუთზე ჭითანავას რეიდი „არარატის“ მცველებმა უხეშობით შეაჩერეს. კვლავ ჯარიმა. ილიადის მიწოდებით ბურთი ეეკუამ მიიღო და თავის გუნდი წინ გაიყვანა — 2:1. ამის შემდეგ ერევნელებმა ბევრი სახიფათო მომენტი შექმნეს ტორპედოელთა კართან. მაგრამ შესანიშნავად ითამაშა მეკარე კვასხვაძემ.

ტორპედოელებმა რევანში აიღეს, დაამარცხეს „არარატი“ 2:1.

დუბლიორთა მატჩშიც წარმატება ტორპედოელებს ხვდათ 2:1.

შ. ჯავახაძე.
საკ. კორ.



პრიზი— სპარტაკელებს

კვირას მოსკოვში დამთავრდა გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის გათამაშება ბაიბიან ჰოკეიში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დიდაქალაქის „სპარტაკისა“ და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდები. ასპარეზობა შეუპოვარი გამოდგა და დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 4:2.

სპარტაკელებს საზეიმოდ გადაეცათ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზი.

ფეხბურთის ფედერაციის ჯილდოზე

დონეცკსა და გორლოვკაში სტარტი მიეცა საერთაშორისო ტურნირს ფეხბურთში სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრიზზე. მონაწილეობენ ბულგარეთის ცსკა-ს, იტალიის „მილანის“, აგრეთვე მოსკოვის „ბურევესტნიკის“, ლენინგრადისა და უკრაინის ნაკრები გუნდები.

კვირის დონეცკში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ბურევესტნიკისა“ და ბულგარეთის ცსკა-ს გუნდები, გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა 1:0. გორლოვკაში ლენინგრადის ნაკრებმა დაამარცხა იტალიის „მილანი“ 5:1.

კვირასვე ორშაბათს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეხუთე ტურის რვა მატჩი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის.

10 სექტემბერს სსრ კავშირის ჩემპიონს კიევის „დინამოს“ საუთარ მოედანზე პაექრობა ჰქონდა ალმა-ათის „ყაზახეთან“. წარმატება კიეველებს ხვდათ ანგარიშით 3:0. ორი ბურთი პუზანმა გაიტანა, ერთი — საბომ.

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“ ატუსაღერთა ჯგუფის წარმომადგენელი — მოსკოვის „ლოკომოტივი“ ეწვია. ისევე როგორც პირველ წრეში, ამჯერადაც შეხვედრა ფრედ დამთავრდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს, ახლა კი ერთიც ვერა.

ასეთივე შედეგით — 0:0 დამთავრდა მატჩი ოდესაში „ჩერნომორეცისა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ გუნდებს შორის.

ლენინგრადში აუტსაიდერის — „ზენიტისა“ და ლუგანსკის „ზარიას“ შეხვედრაშიც აღინიშნა ფრე — 0:0.

ზედიზედ ორი დამარცხების შემდეგ მოსკოვის სპარტაკელები ძალთა მთელი მობილიზებით იბრძოდნენ დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა კოლექტივის წინააღმდეგ. მაგრამ ქულა მაინც დაკარგეს ფრე — 0:0.

მოსკოვში არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და დედაქალაქის „ტორპედოს“ გუნდების გუშინდელი მატჩი ტურის უკანასკნელი შეხვედრა იყო. თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე არმიელმა შულიტიკამ პენალტით გაიტანა ერთი ბურთი და ცსკა-ს გამარჯვება მოუტანა.

სოჭსა და ჰავანაში

სოჭში დაიწყო მ. ჩიგორინის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში.

პირველ ტურში **ზაიცევმა** დაამარცხა **კოტოვი**. **ლენდიელი** და **ლანგე